ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

05/08/2020

751-25-4-202008051653

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 751

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების პირობების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე, 39-ე, მე-40, 41-ე და 49-ე მუხლებისა და 126^1-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, ასევე „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

N	პოზიციის დასახელება	რაოდენობა
1	მერიის ადმინისტრაციის მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
2	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
3	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების პოლიტიკის და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
4	მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საკუთრების აღიარების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
5	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	1

6	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ქალაქგეგმარებისა და ურბანული პოლიტიკის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**3**
7	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**2**
8	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის ისტორიული განაშენიანების ზონის განვითარების განყოფილების უფროსი	**1**

2. გამოცხადდეს დახურული კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

N	**პოზიციის დასახელება**	**რაოდენობა**
1	ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის საპროექტო და სამშენებლო ნებართვების განყოფილების უფროსი	1

3. გამოცხადდეს შიდა კონკურსი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

N	**პოზიციის დასახელება**	**რაოდენობა**
1	მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	**1**

4. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა საკონკურსო კომისიას უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება, კონკურსის გამოცხადება და ჩატარება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მ/შ